შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.744)

6-13 აგვისტო 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.6

ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა

დედოფლისწყაროება 2016

გვ. 3

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ორი მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნება და მინდა მოსახლეობას მივულოცო. ამ დღეს ხდება ასევე საპატიო მოქალაქეების გამოვლენა და ამით ვცდილობთ მათი ღვაწლი დავაფასოთ და კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა იმისათვის, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გაუკეთებიათ“.

გვ. 8

ირაკლი შიოლაშვილი – სილნალი-დედოფლისწყაროს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ხანძარმა 200 ჰექტარი გაანადგურა

გვ. 2

„როცა კახეთი მყარად დგას ფეხზე, საქართველოც ყოველთვის წელში გამართულია“...“

გვ.4

საქართველო – რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი

გვ.4

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

თინა ხიდაშელი ლევან იზორიამ, პაატა ზაქარეიშვილი კი - ქეთევან ციხელაშვილმა შეცვალა

თინა ხიდაშელის შემცვლელად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია დაინიშნა, ხოლო პაატა ზაქარეიშვილი მისმა მოადგილე ქეთევან ციხელაშვილმა ჩაანაცვლა.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თანამდებობები 1 აგვისტოს ოფიციალურად დატოვეს.

ორმა "რესპუბლიკელმა" მინისტრმა პრემიერ-მინისტრს 1-ელი აგვისტოდან გადადგომის შესახებ განცხადებით რამდენიმე დღის წინ მიმართა. მათ მიერ თანამდებობების დატოვება „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომლითაც აღნიშნული პარტიები საპარლამენტო არჩევნებზე დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

კიდევ ერთმა "რესპუბლიკელმა" მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე დარჩენა გადაწყვიტა, რითაც „რესპუბლიკურ პარტიას“ გამოეყო. აგულაშვილი "ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოსთან" გეგმავს თანამშრომლობას.

შეიარაღებულ ძალებს 270 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

5 აგვისტოდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 270 სამხედრო მოსამსახურე შეემატა. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულთა ფიცის დადების ცერემონია ეროვნულ სასწავლო ცენტრ კრწანისის“ ბაზა „ალგეთზე“ გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ფიცის დადების ცერემონია საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. პირადმა შემადგენლობამ და სტუმრებმა წუთიერი დუმილით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედროების ხსოვნას პატივი მიაგეს.

რეკრუტებს შეიარაღებულ ძალებში გაწევრიანება თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ მიულოცა.

„მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ყველანაირ პირობას შეგიქმნით, რომ ღირსეულად ემსახუროთ თქვენს ქვეყანას. ამ კეთილშობილურ საქმეში საერთაშორისო პარტნიორებიც დაგვეხმარებიან. მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრმა საუკეთესო და ფიზიკურად ყველაზე გამძლე კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცა. საპატიო სიგელები მიიღეს ცეცხლსასროლი იარაღით სროლაში საუკეთესო მსროლელებმა და კურსის საუკეთესო სერჟანტმა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საწყისი საბრძოლო მომზადების (Bჩთ) კურსი ათი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. რეკრუტებმა საჯარისო წესდებები, კავშირგაბმულობა და სამხედრო ტოპოგრაფია შეისწავლეს. ასევე, სამწყობრო, ტაქტიკური, საცეცხლე, სამხედრო სამედიცინო, ფიზიკური და სამხედრო საინჟინრო მომზადება გაიარეს.

საბრძოლო მომზადების (Bჩთ) ცენტრი 2011 წელს საწყისი ჩამოყალიბდა. გასულ წელს მას 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული უფროსი სერჟანტის ზაზა ფერაძის სახელი მიენიჭა.

მაღალტექნოლოგიური ბეჭდები გულისცემის სიგნალს გზავნის

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით ადვილია ახლობელ ადამიანებს შორის კონტაქტი. არსებობს აგრეთვე უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული სპეციალური ბეჭდები, რომლის მეშვეობითაც შორი მანძილის მიუხედავად ადამიანებს ერთმანეთის გულისცემის მოსმენაც კი შეუძლიათ.

ახალბედა კომპანია თჰე თოუცჰ-ის ბეჭედი - ჱB ღინგ, საფირონის ზედაპირის, უჟანგი ფოლადის და ოქროსგანაა დამზადებული. ის Bლუეტოოტჰ-ის დახმარებით უკავშირდება აპლიკაციას და ინტერნეტით უგზავნის გულისცემის სიგნალს ნებისმიერ წერტილში მყოფ მეორე ადამიანს.

გირჩი, ახალი საქართველო და ახალი მემარჯვენეები - ახალი პოლიტიკური ბლოკი საარჩევნოდ

საარჩევნოდ ახალი პოლიტიკური ბლოკი - „ვაშაძე-ჯაფარიძე-ახალი არჩევანი“ შეიქმნა. ერთთვიანი ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ, „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო”, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“ და პარტია „ახალი მემარჯვენეები“ ერთ ბლოკად ერთიანდებიან.

ახალი პოლიტიკური ბლოკის - „ვაშაძე-ჯაფარიძე-ახალი არჩევანი“ პრეზენტაცია უკვე გაიმართა.

როგორც პარტიების ლიდერები აცხადებენ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების საერთო ხედვა, საგარეო კურსი, პროდასავლური არჩევანი, ინოვაციური

იდეები და საერთო გეგმები- ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც მათ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებთ.

ლიდერებს მიაჩნიათ, რომ რესურსების შეჯერებით, ახალი ბლოკი გახდება მეტად კონკურენტუნარიანი და ისინი შეძლებენ საზოგადოებას აჩვენონ შედეგი, რომელსაც მოსახლეობა ელის.

ახალი პოლიტიკური ბლოკის პრეზენტაცია „სამოქალაქო პლატფორმა- ახალი საქართველო”-ს ლიდერმა გიორგი ვაშაძემ, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“-ს ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ და პარტია „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ გამართეს.

უნიკალური აღმოჩენა შავ ზღვაში

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია, შავი ზღვისა და მეთევზეობის სამსახურის საერთაშორისო ექსპედიციის მონაწილე სპეციალისტებთან ერთად, აჭარას სტუმრობდა.

თამარ ბაგრატიამ შავ ზღვაში 1960 მეტრ სიღრმეზე განხორციელებული უნიკალური კვლევის შედეგები მედიის წარმომადგენლებს გააცნო.

აღნიშნული სინჯები სხვადასხვა ლაბორატორიებში დამუშავდა და დადგინდა, რომ მიუხედავად, მანამდე არსებული თეორიებისა, რომ რომ შავ ზღავში 150—200 მეტრის სიღრმეზე მხოლოდ გოგირდწყალბადის წარმომქმნელი ორგანიზმები არსებობენ, შავი ზღვის სიღრმისეულ ფენებში ცოცხალი ორგანიზმები ბინადრობენ, რაც იმას ნიშნავს რომ შავ ზღვაში 1960 მეტრის სიღრმეზე აღსანიშნავია, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო მრავალი წელია ახორციელებს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მონიტორინგს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა პროექტ EMBგAშშ II ფარგლებში საერთაშორისო ექსპედიციაში მიიღეს მონაწილეობა, რუმინელ, ბულგარელ, უკრაინელ, ჩეხ, სლოვაკ და უკრაინელ მეცნიერებთან ერთად, რუმინეთის სამეცნიერო—კვლევითი გემით “Mარე Nიგრუმ“. რომელმაც მოიცვა შავი ზღვის ჩრდილო—დასავლეთ შელფის (15 სადგური), შავი ზღვა ოდესიდან—ბათუმამდე (14 სადგური) და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილი — საქართველოს სანაპირო (15 კვლევამ საქართველოს წყლებში მოიცვა კონტინენტური შელფის ღრმა ფენები და ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა, სადაც ბოლო 25 წელზე მეტია კვლევები არ წარმოებულა. ასევე კვლევა მოიცავდა მთელ რიგ კომპონენტებს, მიკროფიტობენთოსი, მეიობენთოსი, მიკროპლანქტონი, იქთიოპლანქტონი, მყარი ნარჩენები ზღვაში, ზღვის ხმაური, პოლუტანტების და ნუტრიენტების რიგი კომპონეტები და სხვა.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის მიერ აღნიშნული ექსპედიციის ფარგლებში აღებული იქნა: ფიტოპლანქტონი 62, მეზოზოოპლანქტონის 53, მაკროზოოპლანქტონის 48, იქთიოპლანქტონის 48 და ზოობენთოსის 22 სინჯი, სულ 233 ჰიდრობიოლოგიური სინჯი. კვლევები მიმდინარეობდა უახლესი და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მოიცავდა ყველა ჰიდრობიოლოგიურ ფრაქციას, პოლუტანტებსა და ნუტრიენტებს, ზღვის ნარჩენებს , ზღვის ძუძუმწოვრებს, ოკეანეოლოგიურ და გეოლოგიურ კომპონენტებს.

2015 წლის ჩათვლით მონიტორინგი წარმოებდა 5 სეზონური დაკვირვების სადგურზე, 2016 წლიდან მონიტორინგის სადგურებს ანაკლია შეემატა.

2016 წლიდან, ზღვის ბიოლოგიური მონიტორინგი ისტორიაში წარიმართა პირველად არამარტო სეზონური დაკვირვების, არამედ პერმანენტული დაკვირვების სადგურზეც. ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგის სანაპიროზე.

აღნიშნული მონიტორინგის სისტემა ევროკავშირის წყლისა და ზღვის სტრატეგიის ჩარჩო დირექტივების პრინციპებთან სრულიად შესაბამისობაშია.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ხანძარმა 200 ჰექტარი გაანადგურა

ვაშლოვანის ეროვნული პარკის მიმდებარედ, პატარა შირაქის ტერიტორიაზე ხანძარმა 200 ჰექტარამდე ტერიტორია გაანადგურა. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზი ადამიანის დაუდევრობაა.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექტორმა, მერაბ ფიროსმანაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ ხანძარი გუშინ გაჩნდა და მისი სალიკვიდაციო სამუშაოები გვიან ღამემდე გაგრძელდა. განადგურებას გადაურჩა როგორც პარკის ტერიტორია, ასევე რეინჯერთა საგუშაგო სადგური და ტურისტული ინფრასტრუქტურა.

დაცული ტერიტორიების სააგენტო აცხადებს, რომ ზაფხულის მაღალი ტემპერატურის გამო დიდია ხმელი ბალახისა და ხის აალების და ხანძრის გაჩენის საშიშროება. სააგენტო ვიზიტორებს მოუწოდებს, კოცონი მხოლოდ საგანგებოდ ცეცხლის დასანთებად გამოყოფილ ადგილებში აანთონ და მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების ნორმები.

ქართული ჭიდაობის ტურნირი



2 აგვისტოს ელიის ძირას ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა . შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 108 სპორტსმენი სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან: დედოფლისწყარო, ახმეტა, თელავი, გორი, თბილისი, კასპი, მცხეთა, ლაგოდეხი, ყვარელი, საჩხერე, საგარეჯო, ქარელი.პირველი ადგილები დაიკავეს: 60 კგ წონით კატეგორიაში ჩიდრაშვილმა (ქ. თელავი), 70 კგ წონით კატეგორიაში თორთლაძემ (ქ. გორი), 80 კგ წონით კატეგორიაში მახარაშვილმა (ქ.მცხეთა); პირველი ადგილის მფლობელი 90 კგ წონით კატეგორიაში გახდა სარაჯიშვილი (ქ.თელავი) და +90 კგ (მძიმე) მუმლაძე (ქ.ლაგოდეხი).

შეჯიბრებას, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

კიკბოქსინგი



1 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი სპორტული ღონისძიება გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ინიციატივითა და ხელშეწყობით. პროფესიონალური ორთაბრძოლები კიკბოქსინგში კ-1 წესით დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოსა და მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები ბაქოდან, ბათუმიდან, თელავიდან, სიღნაღიდან და დედოფლისწყაროდან (გუნდი ,, ჩემპიონი“). სულ გაიმართა 15 ბრძოლა 57, 60, 65კგ წონით კატეგორიაში, ყველა მათგანი დამთავრდა დედოფლისწყაროს კიკბოქსინგელთა გამარჯვებით.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული - კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

დედოფლისწყაროობა 2016

უკვე მეოთხე წელია, დედოფლისწყარო ელია თეზბიტელის ხსენების დღეს და „დედოფლისწყაროობას“ ერთდროულად აღნიშნავს. ტრადიცია იმჟამინდელი გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით დამკვიდრდა. შიოლაშვილი ამბობს, რომ სურვილი ჰქონდა, სხვა ქალაქების მსგავსად, საკუთარი დღესასწაული დედოფლისწყაროსაც ჰქონოდა. ის მოხარულია, რომ „დედოფლისწყაროობა“ სახალხო დღედ იქცა და მასშტაბური სახე მიიღო. ჩვეულებისამებრ 2 აგვისტოს საღამოს გრანდიოზული კონცერტი გაიმართა, სადაც საპატიო დედოფლისწყაროელები გამოავლინეს. ამავე კონცერტზე შედგა კახეთზე ახლადშექმნილი სიმღერის პრემიერა, რომელიც ასევე ირაკლი შიოლაშვილის სურვილითა და მხარდაჭერით შეიქმნა.

ტექსტის ავტორი ცნობილი პოეტი ნანა ცინცაძეა, წლების მანძილზე მის ტექსტზე არაერთი ცნობილი ჰიტი შექმნილა. მუსიკაზე კი გია ნიკოლაძემ და დავით არჩვაძემ იმუშავეს და საერთო ჯამში შესანიშნავი დუეტი დაიბადა, რომელმაც მსმენელის მოხიბვლა მალევე შეძლო. ტელე და რადიო ეთერებში ახალი სიმღერის პრეზენტაცია უკვე შედგა, პირველად კი სწორედ დედოფლისწყაროს სცენაზე აჟღერდა.

ნანა ცინცაძე: „ერთ მშვენიერ საღამოს გუბერნატორის მხრიდან გაჩნდა იდეა, რომ სხვა კუთხეების მსგავსად კახეთზეც შექმნილიყო კიდევ ერთი გულიანი სიმღერა, რომელშიც ამ უძველესი მიწის, კახეთის სიყვარული გამოიხატებოდა. თავიდანვე არჩევანი გია ნიკოლაძეზე შევაჩერეთ, რადგან მისი ყველა სიმღერა მალე ჰიტდება. დაიწერა ეს სიმღერა და გაოცებული ვარ, მსმენელმა პირვლივე დღიდან უპრეცენდენტოდ კარგად მიიღო. არ მახსოვს სიმღერის პრემიერა, რომელსაც ამხელა გამოხმაურება მიეღო. დათო არჩვაძემ არაჩვეულებრიად კარგად გაშალა ეს სიმღერა, დიდი შრომა ჩადო გია ნიკოლაძემ, ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ასევე მადლობა ბატონ ირაკლი შიოლაშვილს, კახეთის სიყვარულისთვის, ამ სიმღერისთვის და დღევანდელი დღისთვის.“

გია ნიკოლაძე: „ეს სიმღერა ნუნუ დუღაშვილის მიერ შექმნილ „კახეთს“ ზურგს უმაგრებს და ის კლასიკაც მოხსენიებულია ამ ვერსიაში. ჩვენ შევეცადეთ თანამედროვე ვერსია შეგვექმნა. დათო არჩვაძე რომ არ დამხმარებოდა, ვერ ჩავწერდით ამ სიმღერას. ძალა ერთობაშია და ერთობლივი ძალებით შეიქმნა. მიხარია, რომ გამოვიდა და ხალხს მოეწონა.“

დათო არჩვაძე: „ეს სიმღერა არის აბსოლუტურად ახალი სიტყვა, ახალი ძალა, განსხვავებულ ჟანრში შესრულდა და აუცილებლად დარჩება და მალე გახდება ჰიტი. დუღაშვილის „კახეთი“ და ყველა სიმღერა კახეთზე მართლაც შეუდარებელია, მაგრამ მიხარია, რომ ამჯერად ახალი სიტყვა ითქვა და მთავარი ისაა, რომ პირველად შესრულდა და მაყურებელი აგვყვა. ვხედავდი, ხალხი ღიღინებდა, ეს კი უკვე სიმღერის გამარჯვებაა და იმაზე მეტყველებს, რომ ხალხს მოეწონა“.

ირაკლი შიოლაშვილი: „როგორც რიგით დედოფლისწყაროელს ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ არაფერი არ კეთდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყარო სრულიად მიტოვებული რაიონი იყო. დღეს მივედით განვითარების იმ ეტაპზე, რომ გზებიც გვაქვს, საბავშვო ბაღებიც, ბიბლიოთეკებს და იუსტიციის სახლებს ვხსნით, ვაგრძელებთ აღმშენებლობას და კიდევ უამრავი საქმეა, რომელსაც ეტაპობრივად გავაკეთებთ. ყველა რაიონს აქვს თავისი დღეობა, მაგრამ, რატომღაც, დედოფლისწყაროს ეს დღე არ ჰქონდა. როდესაც გამგებელი გავხდი, მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ამ ულამაზეს რაიონს ჰქონდეს „დედოფლისწყაროობა“ და მას შემდეგ ტრადიციად იქცა. ხდება საპატიო მოქალაქეების გამოვლენა და ხალხი ზეიმობს.

რაც შეეხება ახალ სიმღერას ჩვენს რეგიონზე. ამ სიმღერაზე მუშაობა ერთი წლის წინ დავიწყეთ, ბევრჯერ შეიცვალა ტექსტიც, მუსიკაც ჩასწორდა,. ბედნიერი ვარ, რომ პრეზენტაციის შემდეგ ამხელა გამოხმაურება ჰქონდა. მინდოდა პრეზენტაცია დედოფლისწყაროში მომხდარიყო და ასეც დავგეგმეთ. მინდა კახელებს ვუთხრა, რომ რეგიონში რა ღონისძიებაც დაიგეგმება, ყოველთვის გაჟღერდება ეს სიმღერა და ყველგან მოვეფერებით კახელებს. რაც მინდოდა კახელებისთვის მეთქვა, ვფიქრობ მოხერხდა სათქმელის მიტანა. ორ წელზე მეტი მხარის გუბერნატორი ვარ და იცით, რომ ხშირად ვხვდები მოსახლეობას. არ არსებობს დღე, როცა მოსახლეობას არ შევხვდე. ხშირად სავარგულებზეც დავდივარ და მშრომელ გლეხებს ვხვდები, ყოველდღიურად ვხედავ მათ ყოფას და იმდენად მაგრები ვართ კახელები, რომ ეს მინდოდა მეთქვა მათთვის. ჩემი გადმოსახედიდან ყველაზე მშრომელები, ყველაზე ერთგულები და ყველაზე მაგრები კახელები არიან. მინდოდა ამ სიმღერაში ეს ყველაფერი ჩაგვედო. მე ვთვლი, ტექსტი და მელოდია ისე აეწყო, რომ ეს ყველაფერი მოიცვა. კახეთის სიძლიერეს და ერთიანობას ხაზი გაესვა და კახეთის სიყვარულისთვის დაიწერა“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ორი მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნება და მინდა მოსახლეობას მივულოცო. ამ დღეს ხდება ასევე საპატიო მოქალაქეების გამოვლენა და ამით ვცდილობთ მათი ღვაწლი დავაფასოთ და კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა იმისათვის, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გაუკეთებიათ“.

მეუფე დიმიტრი: „ელიაობა უდიდესი დღესასწაულია, რადგანაც წმიდა ელია თეზბიტელი წინასწარმეტყველთა შორის გამორჩეული იყო თავისი ცხოვრებით. ის მოსავლის მფარველად ითველება და საქართველოში, განსაკუთრებით კი ქიზიყში, გლეხკაცის ცხოვრება ყოველწლიურად დამოკიდებულია მოსავლიანობაზე, ამიტომ წმინდა ელია თეზბიტელისადმი სასოება ძალიან დიდია. სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასნაულს“.

დეკანოზი ნიკოლოზ ღომსაძე: „ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია მართლმადიდებელი სამყაროსთვის და განსაკუთრებით დედოფლისწყაროსთვის, რადგან ელიას მთაზე აღინიშნება ღამისთევა. ეს მონასტერიც ელია თებიტელის სახელზეა აგებული. 2008 წლიდან ტაძარი აღდგენილია და ღამისთევის მსახურებები სრულყოფილად მიმდინარეობს. ადრეც ვატარებდით, მაგრამ მაშინ მხოლოდ პარაკლისი ტარდებოდა, რადგან საშუალება არ იყო. მინდა მივულოცო პატრიარქს ანგელოზის დღე და ყველა დედოფლისწყაროელს.“

ამავე დღეს დაჯილდოვდნენ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები, წარმატებული დედოფლისწყაროელები და ასევე გასული წლებისგან განსხვავებით გამოვლინდნენ საუკეთესო აბიტურიენტებიც, რომელთაც საშუალო განათლება წარმატებით დაასრულეს.

დიმიტრი ყოჩიაშვილი (ექიმი) წარმატებული დედოფლისწყაროელი: „მადლობა ჩემს ხალხს და მუნიციპალიტეტს, მადლობა დაფასებისთვის. აღფრთოვანებული ვარ. ზოგადად, მგონია, რომ ხალხიც ხედავს ჩვენს ძალიან მნირ შრომას, სულ მცირე წვლილს, რა თქმა უნდა, ამისთვის მადლობელი ვარ. მე ექიმობის 23 წლის სტაჟი მაქვს და ყოველი წელი ჩემს რაიონში ვიმუშავე, ეს კი ჩემი არჩევანი იყო.“

გია ალულიშვილი (მხატვარი), დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე: „ძალიან დიდი განცდა მაქვს, ყველაზე მეტად ვღელავ, უზომოდ მიყვარს ჩემი რაიონი და ჩემი ქვეყანა. ამ წოდების მიღების შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დიდი შემართებით გავაკეთებ იმ საყვარელ საქმეს, რითიც ვემსახურები ჩემს ქიზიყს და ჩემს საქართველოს. უღრმესი მადლობა ყველას დაფასებისთვის. მადლობა ჩემს ლამაზ ხალხს, მადლობა მეუფეებს და მამაოებს“.

ილია მარტყოფლიშვილი

„როცა კახეთი მყარად დგას ფეხზე, საქართველოც ყოველთვის წელში გამართულია...“

ჩვენ ხალხს მივეცით ყველაზე მთავარი, რაც სახელმწიფოსგან სჭირდება ადამიანს - ღირსეული მოპყრობა, დაფასება, ზრუნვა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თელავში, "ქართული ოცნების" კახეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას განაცხადა.

მან ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რომლებიც "ქართულმა ოცნებამ" 2012 წლიდან დღემდე განახორციელა. "კახეთის სიძლიერე მთელი საქართველოს სიძლიერეა და როცა კახეთი მყარად დგას ფეხზე, საქართველოც ყოველთვის წელში გამართულია. გავიხსენებ 2012 წელს, როცა კახეთში ქუდზე კაცი გამოვიდა და მხარი დაუჭირა ,,ქართულ ოცნებას“. და მაშინ, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ჩვენ, ყველამ ერთად, მოვიგეთ ბრძოლა და ეს იყო ბრძოლა საქართველოსთვის! ამ 4 წელიწადში ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმისთვის, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეგვეცვალა. ყველამ იცით, რა დაგვხვდა ხელისუფლებაში რომ მოვედით - დაშინებული საზოგადოება, ხელისუფლებისგან მიტოვებული, უექიმოდ და უწამლოდ დარჩენილი ადამიანები, მძიმე მდგომარეობაში მყოფი გლეხი და აღარ გავაგრძელებ იმ უბედურებების ჩამოთვლას, რომლებიც ყველამ ერთად გამოვიარეთ", - განაცხადა პრემიერმა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, დღეს ყველას შეუძლია მთავრობას კიდევ უფრო მეტი მოსთხოვოს. "დღეს ჩვენი ხალხი თავისუფალია, ყველას შეუძლია მოსთხოვოს მთავრობას კიდევ უფრო მეტი, დღეს აღარ არსებობს ხელისუფლების ძალმომრეობის შიში. ეს სულ ახლახან ხდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ დავძლიეთ მძიმე წარსული და ვფიქრობთ მომავალზე, ქვეყნის შენებაზე. ჩვენ ხალხს მივეცით ყველაზე მთავარი, რაც სახელმწიფოსგან სჭირდება ადამიანს - ღირსეული მოპყრობა, დაფასება, ზრუნვა. ჩვენ გავაკეთეთ მაქსიმუმი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთდროულად ყველა პრობლემა არ გვარდება", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, მთავრობა ზრუნავს იმაზე, რომ გლეხი მარტო მევენახე კი არ იყოს, არამედ ღვინის წარმოებაც შეეძლოს და შემოსავალიც შესაბამისი ჰქონდეს. "ვაზი და ვენახი წმინდაა ქართველი კაცისთვის, და ჩვენ განსაკუთრებულად ვზრუნავთ სწორედ მევენახეობაზე. ეს არის ჩვენი ფესვები, ჩვენი სამშობლოს სიმბოლო და ჩვენ ვალდებული ვართ შევინახოთ, გავაგრძელოთ და შვილებს გადავცეთ მამა-პაპათა ტრადიციები. ჩვენ იმაზეც ვზრუნავთ, რომ გლეხი მარტო მევენახე კი არ იყოს, არამედ ღვინის წარმოებაც შეეძლოს და შემოსავალიც შესაბამისი ჰქონდეს".

როგორც პრემიერმა აღნიშნა, წელს ყურძნის სუბსიდირებისთვის 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული. "წელს ყურძნის სუბსიდირებისთვის 25 მილიონი ლარი გავითვალისწინეთ, 100-მდე ღვინის საწარმო ჩაიბარებს წელს ყურძენს და მოსავალი არ დარჩება ჩაუბარებელი. ჩვენი განსაკუთრებული მიდგომა შედეგს გამოიღებს და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ქართული ღვინო თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების გვერდით და ღირსეულ კონკურენციასაც გაუწევს ცნობილ ქვეყნებს", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

შემდეგ კახეთის მოსახლეობას ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ მიმართა. "ჩვენ მას მერე, რაც დავამარცხეთ ერთობლივი ძალისხმევით ძალადობრივი რეჟიმი, გვქონდა ორი არჩევანი - უახლესი ისტორიის მაგალითების მსგავსად რევანშზე და დასჯაზე უნდა გვეფიქრა პირველ რიგში, ან უპირველეს ყოვლისა ჩიხში შეყვანილი ქვეყნის განვითარებაზე და ნორმალურ გზაზე დაყენებაზე გვეზრუნა! ჩვენ ავირჩიეთ ბევრად უფრო რთული, არაპოპულისტური გზა და მისხალ- მისხალ, ჩუმად და რუდუნებით დავიწყეთ ჩვენი სამომავლო კეთიდღეობისთვის საძირკვლის ჩაყრა. დავიწყეთ ჯანდაცვის, განათლების სოფლის მეურნეობის რეფორმები, დავიწყეთ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. შევქმენით ყველა პირობა იმისთვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, ვისაც სურვილი ჰქონდა ბიზნესი ეწარმოებინა, არ შეშინებოდა, რომ ვინმე წილში ჩაუჯდება ან ვინმე ფულს ჩაატანინებს, ან სახელმწიფოზე შუაღამით გადაადგილებებს ნაშრომს და ნაჯაფს", - განაცხადა კალაძემ.

„ხალხმა ირწმუნა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები დაიწყო. ხალხმა ირწმუნა, რომ თავისუფალი გახდა! ხალხმა დაინახა, რომ შიში წარსულში დარჩა და ხალისი მიეცა შრომასაც, დასვენებასაც, ქებასაც და კრიტიკასაც", - აღნიშნა კალაძემ.

ვიცე-პრემიერმა კახეთის ტურისტულ პოტენციალზეც ისაუბრა. "კახელი გლეხის გარჯა, ღვინის სახლები და საოჯახო სასტუმროები, კახური სუფრის პოპულარიზაცია, ტურისტული ზონები - მარტო ახტალა რა საერთაშორისო მნიშვნელობის განძი გაქვთ! ეს ყველაფერი თქვენია, ეს ყველაფერი თქვენი პროგრესის საფუძველია, ეს იძლევა ალაზნის ველივით უკიდეგანო შეაძლებლობებს დოვლათის, კეთიდღეობის შესაქმნელად, თითოეული კახური ოჯახისთვის და საქართველოსთვის მთლიანობაში", - განაცხადა კალაძემ.

როგორც მან აღნიშნა, საქართველო წარსულში არ დაბრუნდება. "ჩვენ არასდროს დავბრუნდებით წარსულში. ჩვენი დამოუკიდებლობა ტკივილით დაიწყო და განუკითხაობით გაგრძელდა, ჩვენი დემოკრატია ფასადური იყო და კლანური მმართველობით და ძალადობრივი რეჟიმით იჩაგრებოდა! ჩვენი მომავალი იყო ბუნდოვანი, ჩვენი განვითარება კი შეფერხებული! იმიტომ რომ საქართველოში კანონი არ კანონობდა! იმიტომ რომ საქართველოში ქვეყნის განვითრების გეგმა და მთავარი--- ხელისუფლების კეთილი ნება არ არსებობდა! არ არსებობდა პასუხისგებლობა ხალხის წინაშე! არ არსებობდა თვისუფალი საზოგადოება", - განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ არჩევნებში კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს. "ჩვენ, "ქართულმა ოცნებამ" მივიღეთ ეს პატივი და ვალდებულება ხალხისგან 2012 წელს! და ამ ნდობის მანდატით ხელში დავიწყეთ ბევრი კარგი საქმე, ბევრი კარგი რეფორმა! ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ კვლავაც ხალხთან ერთად, თქვენთან ერთად გავაგრძელებთ ამ დიდ საქმეს და ამ შემოდგომაზე კვლავ მხარდამხარ, ერთმანეთის გვერდში დგომით მოვიპოვებთ კიდევ ერთ გამარჯვებას და ეს ჩვენი გამარჯვება იქნება კანონიერების, პროგრესის საბოლოოო გამარჯვება ყველაფერ იმ ცუდზე, რაც ერთხელ და სამუდამოდ დავტოვეთ წარსულში! ერთად ავაშენოთ საქართველო! ერთად შევქმნათ ჩვენი კეთილდღეობა! ერთად ავხიდონოთ ოცნებები და ვაქციოთ რეალობად", - განაცხადა კახა კალაძემ.

საქართველო — რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი

2008 წლის დასაწყისიდან მოსკოვის, მისი მარიონეტული რეჟიმებისა და თბილისის მხრიდან პერიოდულად ვითარების დაძაბვის მცდელობისა და პროვოკაციების თაობაზე ურთიერთბრალდებები ისმოდა. ქართულ-რუსული ურთიერთობები განსაკუთრებულად ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ დაიძაბა, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართა და ალიანსის წევრმა სახელმწიფოების ლიდერებმა ღიად განაცხადეს, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, თუმცა არ მიანიჭეს MAP-ი, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსეთისათვის, ემოქმედა შედარებით თავისუფლად, მაგრამ აღსანიშნია, რომ განცხადებამ რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველო ნატოს წევრი არ გახდეს.

ვლადიმერ პუტინმა კი აღნიშნა, რომ რუსეთს ნატოს პოზიციის საპასუხოდ "საშინაო მონახაზები" მზად აქვს. 31 მაისს რუსეთმა რკინიგზის ხაზის აღდგენის მოტივით, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა და სამუშაოები დაგეგმილზე ერთი თვით ადრე (აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე) დაასრულა. პარალელურად, მწვავდებოდა ვითარება ცხინვალის რეგიონში. ქართული სოფლები თითქმის ყოველდღე იბომბებოდა. 30 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების საფრთხე რეალური იყო. პირველ აგვისტოს ოსურ შეიარაღებულ ფორმირებასა და ქართველ ძალოვნებს შორის შეტაკება მოხდა. ეს იყო ბოლო პერიოდის ყველაზე სერიოზული შეტაკება, რომლის შედეგად 6 შეიარაღებული ოსი დაიღუპა, 7 კი დაიჭრა. ნულის, ავნევის, დვანის და სხვა ქართული სოფლების დაბომბვა კვლავ გაგრძელდა.

7 აგვისტოს ცხინვალში დეფაქტო ვიცე-პრემიერთან ბორის ჩოჩიევთან მოლაპარაკების გასამართად გაემგზავრა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი. შეხვედრას უნდა დასწრებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იური პოპოვი, მაგრამ მან ავტომობილის დაზიანება მოიმიზეზა და ცხინვალში აღარ ჩავიდა. იაკობაშვილმა მხოლოდ რუსი სამშვიდობოების სარდალთან, მარატ კულახმეტოვთან შეხვედრა მოახერხა და ცხინვალი მალე დატოვა. ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 2008 წლის 7—8 აგვისტოს ღამეს. ოპერაცია საქართველოს მასიური საარტილერიო შეტევით დაიწყო. სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე, საქართველოს გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა იმის შესახებ, რომ სამხედრო ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, ხოლო ოდნავ მოგვიანებით საქართველოს მხარემ უარყო მამუკა ყურაშვილის განცხადება, როგორც უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ გაკეთებული და სამხედრო ოპერაციის დაწყების საფუძვლად რუსეთის სამხედრო ძალების შემოჭრა გამოაცხადა.

საქართველოს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, "იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ასევე საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება, 7 აგვისტოს 23:35 წუთზე საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ. თუმცა, მალე ბრძოლაში რუსეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთნენ, საქართველოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის გავლით და ფსოუს საზღვრიდან 15 ათასამდე რუსი სამხედრო შემოვიდა. ქართულმა შენაერთებმა სცადეს ცხინვალის დაკავება, მაგრამ რუსული ავიაციის იერიშის შემდეგ უკან დაიხიეს. რუსულმა ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებულ სამხედრო ბაზებსა და აეროდრომებზე. ორჯერ დაიბომბა გორი, მათ შორის სამხედრო ბაზის ტერიტორია. რუსულმა ავიაციამ თბილისის ვაზიანის ბაზა, საავიაციო ქარხანა, ქვიშიანის მთაზე მდგარი რადარი, ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზებიც დაბომბა. რუსეთის 58-ე არმიამ, ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან ერთად, ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა, ზუგდიდი, გორის რაიონის რამდენიმე სოფელი, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი დაიკავა. აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტ, ნიკოლა სარკოზის ჩარევის შედეგად მოხერხდა.

12 აგვისტოს სარკოზიმ 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში შეათანხმა. 8 სექტემბერს მედვედევთან და სააკაშვილთან სამშვიდობო გეგმის ახალი დეტალები დაზუსტა. ხელშეკრულება მიღებულ იქნა, მაგრამ დღემდე შეუსრულებელი რჩება.

რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 146 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი. დაკარგულად მიიჩნევა 23 ჯარისკაცი. სახლი დატოვა თითქმის 150 ათასმა ადამიანმა. ამათგან 30 ათასამდე დღემდე დევნილობაში რჩება. 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლო) დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანება გამოსცა. მოსკოვის ამ გადაწყვეტილებას დღემდე მხარი მხოლოდ დაჯგუფება "ჰამასმა", ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ დაუჭირეს, ისიც განცხადების დონეზე. 8 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით, რუსულ შეიარაღებულ შენაერთებს კონფლიქტის ზონების გარეთ მდებარე ტერიტორია ერთი თვის ვადაში უნდა დაეტოვებინათ. პირველი ოქტომბრიდან კი საქართველოში პატრულირება ევროკავშირის დამკვირვებლებმა დაიწყეს. 10 ოქტომბერს, რუსული ჯარების გაყვანის პროცესის შესამოწმებლად, გორის რაიონს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი ეწვია და რამდენიმე სოფელი მოინახულა, მისი შეფასებით, მოსკოვმა შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. რუსი ოკუპანტები კვლავ დარჩნენ სოფელ პერევში, რომელიც 12 დეკემბერს მხოლოდ რამდენიმე საათით დატოვეს. კონფლიქტის მოსაგვარებლად მოლაპარაკებები ჟენევის კონსულტაციების ფორმატში გაგრძელდა. მასში საქართველოს, რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. შეხვედრებს, რუსული დელეგაციის შემადგენლობაში, სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჟენევის ფორმატში გამართული სამი შეხვედრა, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა, ხოლო საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის 2009 წელში გაგრძელების გადაწყვეტილებას რუსეთმა 26 დეკემბერს ვეტო დაადო.

რამე რომ არ ვაკეთო, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ, არ შემიძლია

ჩვენი რაიონისთვის კარგად ცნობილი მეანგინეკოლოგის, აქტიური ქალბატონის ნათელა თამაზაშვილის თაოსნობითა და დიდი მონდომებით დედოფლისწყაროში კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა, გაიხსნა „წითელი ჯვრის“ სამედიცინო კლინიკა. თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო პუნქტი გამოცდილი ექიმებით დაკომპლექტდა, რომელიც, ძირითადად, სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზეა გათვლილი. პაციენტები მიიღებენ უფასო კონსულტაციებს სხვადასხვა პროფილის ექიმებისგან. ეს წამოწყება, სხვა უამრავ კარგ საქმესთან ერთად, კიდევ ერთი ნათელი ფურცელია ნათელა თამაზაშვილის მიერ გაწეულ ნვლილში. ძლიერი ქალბატონი ხორცშესხმული იდეებით,- ასე დავარქმევდი მე მის ცხოვრებას. მისი შეუპოვრობა კი, დედოფლისწყაროს მოსახლეობამ მხოლოდ ამჯერზე არ იხილა, ამის მოწმეა მისი განვლილი ცხოვრება, პროფესიული საქმიანობა და ისიც, თუ როგორ დაამტკიცა მან ძნელბედი წლების პერიოდში, რომ მხოლოდ ნამდვილ პროფესიონალიზმს შუძლია, თუნდაც ცარიელი ხელებით შქმნას და დააარსოს კერძო კლინიკა. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს მისი კერძო კლინიკა, რომელსაც ის მარტო ერთი ექთნით უძღვებოდა და საკმაოდ ხარისხიანადაც. მას შემდეგ იყო უამრავი რამ, თავისი მეგობარი ექიმები არაერთხელ ჩამოიყვანა დედოფლისწყაროში და უფასო მომსახურების აქცია რაიონის თითქმის ყველა სოფელში არაერთხელ მოაწყო. იგი არის ქალბატონი, რომელიც დღემდე უსასყიდლოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, არ ეპუება სირთულეებს და ბოლომდე იბრძვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ამ რაიონის კეთილდღეობას მოახმაროს. ჩვენ არაერთელ ვწერთ ამ ქალბატონის მიერ გაკეთებულ საქმეებზე, განხორციელებულ აქციებზე, თუმცა არასოდეს გაგვიკეთებია მასზე პორტრეტი. გთავაზობთ ინტერვიუს **ექიმ ნათელა თამაზაშვილთან** .

მინი დოსიე: ნათელა თამაზაშვილი დაიბადა საგარეჯოს რაიონში სოფელ კაკაბეთში, იქვე დაამთარა საშუალო სკოლა, დედა- ქეთევან მიხეილის ასული ჭიკაძე- თამაზაშვილისა დიასახლისი გახლდათ, მამა - ზაქარია დავითის ძე, თამაზაშვილი მშენებელი და სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო. კოლმეურნის ოჯახს საშუალო ცხოვრება ჰქონდა. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, 1977 წლიდან განაწილებით მოხვდა დედოფლისწყაროს რაიონში და მუშაობას იწყებს დედოფლისწყაროს სამშობიაროში ორდინატორად, გარკვეულ პერიოდში იყო რაიონის მთავარი მეანგინეკოლოგი, 2002-2003 წლებში იგი წარმატებით გადის გამოცდებსა თუ გასაუბრებას და ციხის ექიმად იწყებს მუშაობას, შემდეგ ხალხის მოთხოვნით ისევ რაიონში ბრუნდება კლინიკის მეანგინეკოლოგად. არაჯანსაღი კონკურენციის შედეგად ჩათვალა, რომ ცალკე გასულიყო და კერძო გინეკოლოგიური კლინიკა გაეხსნა. ასეც მოხდა. ამ წლებიდან დღემდე იგი არ წყვეტს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მონაწილეობას იღებს ექიმთა საქველმოქმედო აქციებში, უფასო სამედიცინო მომსახურების აქციებს თავად უკეთებს ორგანიზებას ადგილობრივი ხალხის საკეთილდღეოდ და, ამავდროულად, ისევ განაგრძობს ექიმობას თავისი პროფესიის მიხედვით. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში თითქმის უტოლდება ქველმოქმედის საქმეს, რადგან ბოლო წლებში ნათლა თამაზაშვილი არასოდეს არ იღებს თანხას პაციენტისგან, ის თითქმის უფასოდ ემსახურება ყველა მათგანს.

-ქალბატონო ნათელა, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე, როგორი ბავშვი იყავით, რამ გადაგაწყვეტინათ, რომ გამხდარიყავით ექიმი?

-ბავშვობიდან მახსენდება ის, რომ სულ მეხვენებოდნენ, საჭმელი მეჭამა, მე კი არასოდეს არ მიყვარდა ჭამა. სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, საჭმელიც არ მინდოდა, უნდა მემეცადინა და სანამ ყველაფერს ისე არ ვისწავლიდი, როგორც მე მინდოდა, თავს არ ვანებებდი. გარეთ გასვლა არ მიყვარდა, თავისებური ბავშვი ვიყავი, მინდოდა მეკითხა წიგნები, საქმე მეკეთებინა, სულ მიხაროდა დედა და მამა სახლში რომ არ იყვნენ, დალაგებული სახლი და სადილი დამეხვედრებინა, ეს იყო ჩემი ჰობი, ასეთი ბავშვი ვიყავი, ასეთი ბავშვობა მქონდა. ინსტიტუტშიც რომ დავდიოდი დღის სიანსებზე თუ წავიდოდი, თორემ საღამოს გარეთ არ გავდიოდი. ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა,სხვათაშორის მამა ძალიან მთხოვდა, რომ ჩამებარებინა ტექნოლოგიურზე,მაგრამ მე არაფრით არ ვეთანხმებოდი. ნათსავები სულ ექიმები მყავდნენ და მათ გარემოში რომ ვტრიალებდი, სულ პატარაობიდან ჩავიდე გულში ექიმობა. მას მერე არც გადამიფიქრებია. როდესაც ჩავაბარე, ეს ისეთი პერიოდი იყო, როცა მართლა იძახოდნენ ფულები ჭრისო და სინამდვილეში ცოდნა რომ ჭრიდა ყველაზე უპირველესად. ეს იყო გელბახიანის პერიოდი 1970-იანი წლები, მაშინ სამი საგანი ბარდებოდა, თითო საგანი 5 ქულა იყო უმაღლესი,ისე ჩავაბარე ამ სოფლემა, უბრალო ოჯახის გოგომ, რომ 15 ქულიანებში ჩემით იწყებოდა ჩაბარებულთა გამოკრული სია.

- როგორი იყო თქვენი სტუდენტობა და როგორ მოხვდით დედოფლისწყაროში მაღაროელი გოგო?

- ინსტიტუტში აქტიური სტუდენტი ვიყავი, არცერთი კონფერენცია არ გამომიტოვებია, გაერთიანებული ვიყავი სამეცნიერო წრეებში, ქირურგობა მინდოდა. თუმცა, გადავწყვიტე მერე მეანგინეკოლოგი გავმხდარიყავი, 5 წელიწადში ერთხელ იყო განაწილება, ხუთი ადგილი იყო 5000 -ადამიანიდან ვინც ამთავრებდა სამედიცინო ინსტიტუტს რუსული სექტორის სტუდენტებიც და ქართულისაც , მაგრამ მე იმდენად წარჩინებული სტუდენტი ვიყავი, რომ თავად კათედრის გამგემ მიხეილ გიგინეიშვილმა, რომელიც სასწაული პიროვნება იყო,ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ განაწილებაში უპირველესი მე მოვხვედრილიყავი. მახსოვს, მაშინ მე ამომაგდეს ხუთკაციანი სიიდან და მინისტრის და ცეკას მდივნის შვილები შიყვანეს. ბატონი მიხეილი თავად მივიდა მინისტრთან და უთხრა ხუთეულიდან ყველა რომ ამოიღოთ, ეს გოგო უნდა დატოვოთ, მერე რა რომ ის ცეკას მდივნის შვილი არაა, მერე რა რომ მისნისტრის შვილი არაა და უბრალო გლეხის შვილია, ის ღირსეულიაო, მაშინ მეანგინეკოლოგის ადგილები ძალიან ჭირდა, გამანაწილეს დედოფლისწყაროში, მანამდე არანაირი კავშირი არ მქონია ამ რაიონთან, მაგრამ დღეს ეს რაიონი ისე მიყვარს, თითქოს ბავშვობიდან აქ ვარ. 1977 წლიდან ვმოღვაწეობ და ვემსახურები ამ ჩემს საყვარელ ხალხს. ისე მიყვარს დედოფლისწყარო, რომ ისიც კი დამავიწყდა, საიდან ვარ! 1977 წლიდან ვმუშაობდი სამშობიაროში ორდინატორად, ვიყავი გარკვეულ პერიოდში რაიონის მთავარი მეანგინეკოლოგი, მერე მომიხდა კონფლიქტური სიტუაცია, მთავარ ექიმსა და ჩემს შორის იყო დაძაბულობები, არ მოსწონდათ, რომ ყველას ჩემთან უნდოდა შემოსვლა, ყველა ჩემი პაციენტი იყო, მშობიარობა იყო ეს, თუ ნებისმიერი ოპერაცია, გაჩნდა შურის გრძნობა თუ არ ვიცი, რა დავარქვა. ამიტომ წამოვედი, ოთხი ნლის განმავლობაში ძალიან ვიწვალე, ვინამე სასამართლოდან სასამართლოში დავდიოდი აღდგენაზე და ყოველთვის ამბობდნენ, რომ მე მართალი ვიყავი. ბოროტება იყო გაჩაღებული, მაგრამ მე ბოროტებაზე ყოველთვის ვიმარჯვებ, იმიტომ, რომ მე ვარ ღმერთის მორწმუნე ადამიანი მიყვარს ხალხი და უნგაროდ ვემსახურები პაციენტებს. ეს თქვენც გაგებული გექნებათ. მე მინდა ვიყო ჰუმანური, ქველმოქმედი და ყველაფერი, რაც შემიძლია ხალხს შევნირო, ჩემი ჯანმრთელობაც კი შევწირე მათ.

- ცნობილია თქვენი სიყვარული თეატრისადმი...

- თეატრი მიყვარდა ძალიან. მარჯანიშვილის თეატრის ეზოში ვცხოვრობდი და არცერთი სპექტაკლის პრემიერა არ გამომიტოვებია, ზოგიერთი კი, რამოდენიმეჯერ მაქვს ნანახი.

ერთხელ უშანგი ჩხეიძის საღამო იყო და ბუმი იყო საქართველოში, რომ მას დასწრებოდნენ, თუმცა ბილეთის შოვნა ძალიან ჭირდა, მე მაინც მოვახერხე ის, რომ დედაჩემის ძმისშვილთან ერთად წავსულიყავი ამ საღამოზე. თეატრი იყო ჩემთვის რაღაც, საოცრად დიდი და ლამაზი სამყარო, ეხლა ისეთ ნაკლებობას ვგრძნობ ამისას, რომ მეტი აღარ შეიძლება. დიდ დანაკლისს განვიცდი, რომ თეატრს ხშირად ვერ ვნახულობ.

-თქვენ არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ ხართ ძლიერი ქალბატონი, იმ ძნელბედობის წლებზე და კერძო კლინიკის დაარსებაზე მოგვიყევით.

-მე, სადაც მივდიოდი, ყველგან ისე მლებულობდნენ, როგორც ძალიან ახლობელს, რადგან ძალიან დიდი სანაცნობო წრე მქონდა და მაქვს ჩემი პროფესიის ადამიანებთან. მიშა სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს, მე შევიტანე განაცხადი თავდაცვის სამინისტროს ექიმობაზე, ის იუსტიციის მინისტრი იყო იმ პერიოდში, როცა ექიმები გაათავისეუფელეს ეს იყო 2001 წლის დასაწყისი, შევარდნაძის პერიოდზე ვსაუბრობ, იქ ერთადერთ მეანგინეკოლოგის ადგილზე 36 ექიმი მეცილებოდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც ველოდი, ისეთი მოწონება დავიმსახურე კომისიის წევრებს შორის გასაუბრებაზე და ძალიან დიდი შეფასება მომცეს. ასე დავიწყე იუსტიციის სამინისტროში მუშაობა, ორი წლის განმავლობაში აქ დავყავი. ეს იყო 2002- 2003 წლები, მაგრამ მერე ლიცენზირებები მიდიოდა, მე ლიცენზია მქონდა როგორც მეანგინეკოლოგიაში, ასევე ქირურგიაში, ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ანუ, მე შემეძლო მთავარი ექიმიც ვყოფილიყავი, ამიტომ რაიონმა მთხოვა დავბრუნებულიყავი მთავარი მეანგინეკოლოგის თანამდებობაზე. დავბრუნდი კიდეც, ავაწყე სამშობიარო განყოფილება, ფეხზე დავაყენე, თუმცა იქ ისეთი სიტუაცია იყო, რომ საბოლოოდ წამოვედი და ჩემთვის შევქმენი სხვათაშორის რესპუბლიკაში პირველი კერძო სამეანო გინეკოლოგიური კაბინეტი, მქონდა კოსსულტიის მომსახურება, ექოსკოპიის კაბინეტი, (ეხოსკოპისტიც ვარ ამავე დროს), ასე ვემსახურებოდი მოსახლეობას.

- იყო კიდევ ამაზე რთული წლებიც თქვენს ცხოვრებაში, პოლიტიკურ მოვლენებს ვგულისხმობ, იქნებ ამაზეც თქვათ ორიოდე სიტყვა.

- კარგად მოგეხსენებათ, როგორი პერიოდი იყო 2002 -2003 წლებში. ახალგაზრდა ხელისუფლება რომ მოვიდა ჩვენ ბევრ რამეს გვპირდებოდნენ. მით უმეტეს მე. მე კი რადგან ერთ დროს ჩემი სიმართლე არ დამეკარგა ამ ადამიანთან მხარშე ვედექი, სააკაშვილს ვგულისხმობ, არჩევნებშიც კი დავუდექი გვერდით. ის კი არა, პარტიის ლიდერობაც კი შემომთავაზეს, მაგრამ მე არ გავწევრიანდი, იმიტომ რომ აღარ მინდოდა ჩემთვის მეტი დატვირთვა და უარი განვაცხადე. მერე უკვე რომ შევიცანით ვინ იყო, როგორი იყო და ჩემს შვილსაც შეეხნენ დაუმსახურებლად 2008 წელს პატიმრობაშიც კი აიყვანეს ტელეფონების ზარების გამო. რა პერიოდიც იყო, ყველამ კარგად ვიცით, მეორე დღესვე ჩემი შვილი სახლში იყო, მაგრამ ეს დაგვიჯდა ძალიან დიდ ფასად, თუკი სანათესაოს ჰქონდა ღირებული, აბსოლიტურად ყველაფერი გაეყიდეთ. ასი ათასი დოლარი მოითხოვეს გირაოს სახით და ჩემი შვილი გამოუშვეს. სრულიად უდანაშაულო ხალხს იჭერდნენ. ახლა შეტანილიც აქვს ამ უსამართლობის გამო ჩემს ბიჭს განცხადება, მიმდინარეობს პროცესი. მერე მოვიდა „ქართული ოცნება“, რომელსაც მხარში დავუდექი მთელი გულით. იმ პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს ჩემი ბიძაშვილი, ეს იყო ჩვენთვის ძალიან დიდი ტკივილი, მე უკვე ვიცოდი რა ხდებოდა ციხეებში, რადგან ნამუშევარი ვიყავი და ძალიან კარგად ვიცოდი იქ რა სიტუაცია იყო, როგორ ნამებაში ყავდათ ხალხი. მე ყოველდღე ბიძაშვილის სიკვდილს არ გამოვრიცხავდი, ახლობლებს არ ვეუბნებოდი, მაგრამ მე ძალიან ვნერვიულობდი, ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, ვლოცულობდით, ეკლესიიდან არ გამოვსულვარ, მე ისეთი რაღაცეები გადავიტანე ოჯახის წევრებსაც არ ვაგებინებდი ამას, მხარში ვედექი ყველანაირად, ოჯახის ნევრებს ბოლომდე რომ სცოდნოდათ იქ რა ხდებოდა, ალბათ არავინ არ დარჩებოდა ცოცხალი ნერვიულობის გამო, უდანაშაულო ადამიანი, გენერალი კაცი ასე გაწირეს.

ამ პერიოდში ზუსტად მე „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციაში ჩავერთე. ჩამომყავდა ექიმები ჩემი ხელმძღვანელობით, აბსოლუტურად ყველა ოჯახს დედოფლისწყაროში შეეძლო უფასო გასინჯვები და გამოკვლევები გაეკეთებინა, საბათლოდან დაწყებული 13 სოფელი არაერთი ვოიაჟით მოვიარეთ, ერთხელ კი არა, რამოდენიმეჯერ ჩამოვიყვანე მედიკოსები.

-ყველაფრის მიუხედავად თქვენ არ დაეცით და პესიმიზში არ ჩავარდით. თავი, ფეხზე ძლიერად დადექით და თქვენს ენთუზიაზმს ადასტურებს კიდევ ერთი სიახლე, რომ ჩამოაყალიბეთ „წითელი ჯვრის“ ოფისი დედოფლისწყაროში,ყველა დამეთანხმება, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ოფისია დედოფლისწყაროში!

- იყო ექიმი, არ ნიშნავს რომ იცოდე მეცნიერება და ფლობდე მკურნალობის მეთოდებს, საჭიროა, პაციენტს შეხედო ისეთი თვალით, რომ მას აგრძნობინო, შენ აუცილებლად განიკურნები. ექიმი აუცილებლად სულიერად უნდა იყოს ექიმი და არა მხოლოდ პროფესიით, ძალიან ბევრ პაციენტს უთქვია ჩემთვის, რომ თქვენი სიტყვაც კი განგვკურნავს ხოლმეო, როგორი იმედიანად გვეტყვით-ხოლმე ამ ყველაფერსო! იმედი უნდა ჩაუსახო პაციენტს, თუ იმას გვერდში კიდევ რაღაც სჭირდება შენს გარდა, იქაც უნდა გაჰყვე, იქაც უნდა ჩაერთო. აი, ეს არის ექიმობა. ოჯახის ნევრია თუ ვინ, გულით და სულით უნდა იყო პაციენტთან ახლოს, შენ უნდა დაანახო იმას, რომ ნამდვილად ზრუნავ და არა მოვალეობას იხდი. აი ეს არის ექიმის ზნეობა, ეს არის ჩემი ბუნება და ასეც ვარ მთელი ცხოვრება.

- მოკლედ კიდევ ერთხელ ავღნიშნოთ, რა მომსახურებას გაუწევს დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაცია მოქალაქეებს?!

- წითელ ჯვართან დაკავშირებით მინდა გითრათ, რომ ის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასოდ მომსახურებას ითვალისწინებს, მე, პირადად, ვარ ხელმძღვანელი, რომელსაც ხელფასი საერთოდ არ მექნება, ვიქნები გინეკოლოგი, რომელსაც ხელფასი არ მექნება, ეს ჩემი მოთხოვნაა, მაგრამ დანარჩენი ექიმები, თითქმის ყველა კაბინეტი იქნება და იქნებიან ხელფასზე, დიდი არაფერი, მიზერული ანაზღაურება ექნებათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მინდა სანამ ცოცხალი ვარ, ხალხს ვემსახურო.

- რას ნიშნავს იყო ძლიერი ქალი და რა პასუხისმგებლობაა ეს ყოველივე?

- ნამდვილად ძნელია ძლიერი ქალის მანტია გეცვას, ქალი უნდა იყოს პირველად ოჯახის დედა, მერე ოჯახის დიასახლისი, კარგი სპეციალისტი, ჩემთვის ცხოვრება ესაა, რომ იყო ყველაფერი და ყველაფერში კარგი. მე ხშრად მეტყვიან ხოლმე ახალგაზრდები,- ნათელა დეიდა,თქვენ ჰიპერაქტიური ქალი ხართო! მე რამე რომ არ ვაკეთო ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ, არ შემიძლია. ისე კი არა, რომ გავაკეთო ჩემთვის, არა, მე ჩემი პირადი ყოველთვის გვერდზე მაქვს გადადებული და ადამიანებისთის თავს არ დავზოგავ, ეს ყველამ კარგად იცის.

-როგორია ნათელა თამაზაშვილი როგორც დედა?

-ძალიან მომთხოვნი დედა ვიყავი, რთული სამსახური მქონდა, მაშინ ხაზის ტელეფონები იყო და ჩემს შვილებს ტელეფონით ვმართავდი. ორივე პატარები იყვნენ, საავადმყოფოდან ვრეკავდი სულ და იქიდან ვმართავდი. იმდენად ეშინოდათ რომ ყურმილიც კი შორს ეჭირათ, პრინციპების ქალბატონი ვიყავი. აუცილებლად შვილები მტრულად აღზარდო რომ მოყვრულად გამოგადგნენ. სწავლაშიც მომთხოვნი ვიყავი რა თქმა უნდა, გოგო მეცადინე იყო, ბიჭი – ნიჭიერი, მაგრამ ცოტა ზარმაცობდა და მე არ ვაძლევდი იმის უფლებას, რომ ეზარმაცა.

- თქვენს შინაგან მეს როგორ დახასიათებდით?

- პრინციპული ადამიანი ვარ, ემოციური საშინლად, პატარა რაღაცაც კი, შეიძლება დიდი ემოციით გამოვხატო, მაგრამ, ამავე დროს თბილიც ვარ, ჩემი ლექსიკონია: შემოგევლე, გენაცვალე, შენი ჭირიმე, საყვარელო! სახლში ცოტა უფრო მკაცრი ვარ!

- რას აფასებთ ადამიანში უპირველესად?

- ადამიანში ვაფასებ დ მადლიერების გრძნობას, უმადურ და დაუფასებელ ადამიანს ვერ ვეგუები, გულს ძალიან მტკენს, რადგან მე ვიხარჯები ბოლომდე ადამიანთან და უკუგებას რომ ვერ ვხედავ, გული მწყდება, თორემ ყველა ადამიანი ინდივიდია და იმას როგორც უნდა ისე მოიქცევა.

-ამბობენ, რამდენადაც ექიმის პროფესია მოთხოვნადია, იმდენად ისინი რთულები და ამაყები არიანო, მედიდურად უყურებენ სამყაროსო, ჯავახიშვილი ამბობს: „ჩვენ ექიმებმა , სხვებზე მეტი ვიცით, იმიტომ რომ ზნეობის საზომიც სხვანაირი გვაქვს,-“ მაინც რა საზომი გაქვთ ექიმებს, რით ზომავთ ადამიანებს?

-მე არ ვიტყვი, რომ ექიმები არ არიან ამაყები, მაგრამ ეს ყველას არ ეხება, ადამიანობა სიამაყით კი არ განისაზღვრება, თავმდაბლობით განისაზღვრება, მე ასე ვფიქრობ. პირველ რიგში პაციენტს უნდა მოერგო, ჯერ მის სულში უნდა ჩაიხედო, სითბო უნდა შეიტანო მის გულში და აი, მერე ისე უნდა იექიმო, მე ასე მწამს. სიამაყე და ამპარტავნება, ვინც ნამდვილი ექიმია, არ ახასიათებთ. მე ასეთი ექიმი მწამს და დღეს, ვინც ნამდვილი ექიმია, ისინი ყველანი ასე იქცევიან.

-როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ დღევანდელ მდგომარეობას და რას ურჩევდით ჩვენს მოქალაქეებს?

-მოქალაქეებს ვეტყოდი, კარგად დაფიქრდნენ, ემოციურად ნუ გადაწყვეტენ, კარგად შეადარონ დროები, ამ დროში და ადრე ხელისუფლებაში მოქმედი ფიგურები, როგორ იქცეოდნენ, როგორ ეპყრობოდნენ ხალხს, რა იყო, როგორ იყო და იმის მიხედვით გააკეთონ არჩევანი, უნდა იყვნენ აუცილებლად ძლიერები და ჭკვიანები. ამ გადასახედიდან მე ძალიან ბევრი რამე არ მომნწონს, არ მომწონს ის კი არა, რომ რაღაცეები ვერ გაკეთდა, ეს ყველაფერი გაკეთდება, ბევრი რამე ვერ მოესწრებოდა პატარა დროში, ბევრი რამის გაკეთება ფიზიკურათადაც ნამდვილად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, როცა მონინააღმდეგე ბევრი გყავს და ხელს გიშლიან ამ ყველაფერში, საქმის კეთებაში, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და აქედან გამომდინარე, მე ველოდები კეთილ და ნათელ მომავალს, სურვილიც ეს არის ჩემი და თხოვნაც.

ლალი მეხრიშვილი

განახლებული პროფესიული სასწავლებელი სამრეკლოში და თექის ნამუშევრების გამოფენა მუზეუმში

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გამუდმებით მუშაობს საზოგადოებას გააცნოს ისეთი ხელოვანები, მხატვრები, მუსიკოსები და ღვაწლმოსილი ადამიანები, ძველი თუ ახალი სახეები, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ და შეიტანენ მომავალში დედოფლისწყაროს კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ეს ჩვენი ისტორიაა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი გაზეთის ჟურნალისტები, მუზეუმის თანამშრომლები, რაიონის ხელმძღვანელობა ყველა ერთად ვიღწვით ხელი შევუწყოთ და წარმოვაჩინოთ ასეთი შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანები. კიდევ ერთ ასეთ მისიას ემსახურებოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული თექის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ამჯერად სოფელ სამრეკლოში არსებულმა საზოგადოებრივმა პროფესიულმა კოლეჯმა „აისმა“ წარმოადგინა. ხევსურული პეიზაჟები, შოთა რუსთაველი, ქალი გაშლილი თმებით, მერცხლები, ქოთნის ყვავილები, ეზოს გვირილები, ქალების კაბები- ეს იმ ნამუშევართა ჩამონათვალია, რომელიც გამოფენაზე ვიხილეთ.

კოლეჯის დირექტორმა ანზორ კირვალიძემ, რომელიც 1994 წლიდან აღნიშნულ პროფსასწავლებელში მუშაობს, ხოლო 1997 წლიდან უკვე დირექტორის თანამდებობას იკავებს, ჩვენთან საუბარში იმ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც, შესაძლოა, ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია. —„გამოფენის იდეა მუზეუმის დირექტორს ლალი გურასპაულს დაებადა, ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით, რადგან გვინდა პოპულარიზაცია გავუწიოთ ჩვენს ნამუშევრებს და ყველამ გაიგოს, თუ რა შემოქმედებითი მუშაობა მიდის სამრეკლოს პროფესიულ სასწავლებელში. შესაძლოა, რაიონის მოსახლეობამ ჯერ არც კი იცის, რომ სამრეკლოს ყოფილი პროფესიული სასწავლებელი განახლდა, როგორც შენობის რესტავრირების თვალსაზრისით, ასევე ახლებური სწავლების მეთოდებით და გამდიდრდა ახალი პროფესიებით. სახელმწიფომ და განათლების სამინისტრომ ჩვენი სასწავლებელი აქცია თანამედროვე ტიპის ევროსტანდარტულ შენობად, გვაქვს ყველა პირობა და ხელშეწყობა, რომ წარვმართოთ

ხარისხიანი სწავლება, ამასთან, გაიზარდა პროფესიების ჩამონათვალი. ჩვენ, დღესდღეობით, 17 თვიანი კურსით ვასწავლით და სერთიფიკატებს ვაძლევთ რვა სპეციალობაში. ესენია: ვეტერინარია, ექთნის თანაშემწე, ელექტრიკოსი, ტრაქტორისტ-მემანქანე, თექის ხელოსანი, ბუღალტერ-ტექნიკოსი, სტილისტი და კალატოზი.

თექის ხელოვნების პედაგოგებმა იამზე ალუღიშვილმა და ნინო ბურდულმა აღნიშნეს, რომ მათი ინტერესია, რაიონის მოსახლეობის უფრო მეტმა ნაწილმა გაიცნოს სამრეკლოს სასწავლებელში არსებული პირობები და ამასთან, მოსახლეობას გაუჩნდეს სურვილი, დაეუფლოს ამ პროფესიებს.

-თექის წარმოება ეროვნული საქმეა, მისი დავიწყება ქართველებს არ გვეპატიება, მით უმეტეს, მას აქვს დღესდღეობით კარგი გასაქანი, ტურისტები ინტერესდებიან და გასაღების ბაზარიც არ ჭირს. გვინდა, რაც შეიძლება მეტმა ქალმა და ახალგაზრდამ ისწავლოს ეს ხელობა და შემდეგში გამოიყენოს. ჩვენი სასწავლებელი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს, უფასოდ მიიღოს ჩვენთან ეს ცოდნა. დიასახლისებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ შეისწავლონ, შემდეგ კი ეს ბიზნეს- საქმიანობად აქციონ, მოსწავლეებსაც შეუძლიათ გაკვეთლების შემდეგ, შეისწავლონ ეს საქმე .ასევე იმ ადამიანებმა, ვინც უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ დაუსაქმებლები არიან. ყველა მათგანისთვის ჩვენი კარი ფართოდაა ღია, ამჟამად 12 კურსდამთავრებული გვყავს, აგვისტოს ბოლოს კვლავ მივიღებთ განცხადებებს და სექტემბრიდან დავიწყებთ ახალი ჯგუფის სწავლებას, გვაქვს ყველა ხელშეწყობა. ნედლეულსაც კი განათლების სამინისტრო გვიძენს, ჩვენთან სრული კომფორტია-გვაქვს ცხელი წყალი და კანალიზაცია, რაც თექაზე მუშაობისთვისაა საჭირო. ამჯერად ვმუშაობთ რეალიზაციის ბაზრის ათვისებაზეც და იმედი გვაქვს, მალე ჩვენი ნაწარმის რეალიზაციიდან აღებული თანხით შევიძენთ ნედლეულს,“-ამბობენ ჩვენთან საუბარში ქალბატონები იამზე ალუღიშვილი და ნინო ბურდული, რომელთაც ეს ტრადიცია მთიდან დედოფლისწყაროში ჩამოიტანეს.

გამოფენას უძღვებოდა მუზეუმის დირექტორი ლალი გურასპაული, სოფელ სამრეკლოს ქალთა გუნდმა „კელაპტარი“(ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი) შეასრულა რამდენიმე ხალხური სიმღერა, სიტყვით გამოვიდა და პროფესიული სასწავლებლის „აისის“ მთელ შემადგენლობას წარმატებები უსურვა დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსმა ეთერ დავითაშვილმა. გამოფენა დადებითად შეაფასა და ამ საქმეს ეროვნული უწოდა ასევე პოეტმა თამაზ წიკლაურმა.

გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს. ეწვიეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ძალიან მოგეწონებათ.

ლალი მეხრიშვილი

ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა

2 აგვისტოს ქალაქ დედოფლისწყაროში რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, საზეიმოდ გაიხსნა განახლებული ცენტრალური ბიბლიოთეკა. ცერემონიას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, გამგეობის სხვა წევრები და ადგილობრივი მოქალაქეები.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ამჟამად 74 690 წიგნია, აქედან 30 000- მდე საბავშვოა. შენობაში განთავსებულია სამკითხველო დარბაზი, ცალკეა საბავშვო განყოფილება და წიგნების საცავი.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადგილობრივ მოქალაქეებს ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ უკვე დღეიდან მათ შეეძლებათ კონფორტულ გარემოში აიმაღლონ ინტელექტუალური დონე.

უსახელო სკვერს თამარ მეფის სახელი ეწოდა

ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის ჩრდილოეთით მდებარე უსახელო პარკს, რომელიც მოსახლეობისთვის ,,სტალინის ბაღის“ სახელითაა ცნობილი, ,,თამარ მეფის“ სახელი მიენიჭა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა შემოთავაზებულ პროექტს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სხდომაზე საკრებულოს წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ პარკში თამარ მეფის მემორიალური დაფა ან ბიუსტი განთავსდეს, მის შესარჩევად კი კონკურსი გამოცხადდეს.

„გენერალი“ მოკვდა, გაუმარჯოს „გენერალს“ – „ისლამურ სახელმწიფოში“ თარხან ბათირაშვილს მისი ძმა – თამაზი ჩაანაცვლებს?!

13 ივლისს გავრცელდა მორიგი ინფორმაცია, “ ისლამური სახელმწიფოს” სამხედრო მინისტრის “ჟღალი გენერალის” ომარ ალ შიშანის (თარხან ბათრაშვილის) სიკვდილის თაობაზე. ბათირაშვილი, სავარაუდოდ, ერაყში, ქალაქ მოსულის მისადგომებთან, ბრძოლებში დაიღუპა.

ამჯერად მისი სიკვდილი „ხალიფატის“ ოფიციალურმა წყაროებმაც დაადასტურეს. მათ შორის სააგენტო „ამაქმაც“, რომელმაც მსოფლიოს ამცნო, რომ „ჟღალი გენერლის“ დაკარგვა „ხალიფატისთვის დიდი დანაკარგია. ეს ომარ ალ შიშანის მერვე და როგორც ჩანს, რეალური სიკვდილია. სიკვდილის მორიგ ცნობას ეჭვის თვალით უყურებენ ბათირაშვილის მშობლიურ პანკისის ხეობაშიც. თუმცა, სირიაში მყოფმა „გენერლის“ ძმამ ნათესავებს შემოუთვალა სამძიმარი მიიღეთო, რაც ავტომატურად გარდაცვალების დადასტურებას ნიშნავდა.

მიუხედავად იმისა, რომ თარხან ბათირაშვილის სიკვდილი, მართლაც, დიდი დანაკარგია „ხალიფატისთვის“, ეს „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. სტაფში დიდ რყევებს ვერ მოიტანს, რადგან, როგორც ცნობილია, ომარ ალ შიშანის უკან

მარცხნიდან მეორე: თამაზ ცათიაშვილი - აბდურახმან ალ შიშანი

მისი ძმა თამაზი დგას, რომელსაც აბდურახმანის სახელით იცნობს. როგორც ჩვენი სირიული წყაროები ადასტურებენ, სწორედ თამაზი გეგმავდა ომარ ალ შიშანის ყველა წარმატებულ სამხედრო ოპერაციას, მათ შორის: 2014 წლის ივნისში ქალაქ მოსულის და ტიქრიტის აღებას, რასაც 29 ივნისს “ ისლამური სახელმწიფოს” მეთაურის აბუ ბაქრ ალ ბაღდადის მხრიდან “ ისლამური ხალიფატის” გამოცხადება მოჰყვა.

თამაზ ცათიაშვილის (თარხანისგან განსხვავებით მისი ძმები თამაზი და თენგიზი დედის გვარს ატარებენ) სახელი პირველად მეორე ჩეჩნური ომის დროს გახმაურდა, სადაც ის თავის რამდენიმე თანამემამულესთან ერთად იჩკერიის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. როგორც ჩანს, საბრძოლო გამოცდილება სწორედ იქ მიიღო, მოგვიანებით შეუერთდა მურად მარგოშვილის (მუსლიმ ალ შიშანის) რაზმს და მასთან ერთად მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში. სირიაში თამაზ ცათიაშვილი 2013 წელს წავიდა, იმდროისთვის ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. მას შემდეგ რაც თარხან ბათრაშვილი “ ისლამური სახელმწიფოს” შეუერთდა თავისი დაჯგუფებით, თამაზიც ძმის კვალს გაჰყვა. “ხალიფატის” გამოცხადების შემდეგ მათ “ ხელისუფლებაში” საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობები ერგოთ, თარხან ბათირაშვილი გახდა სამხედრო მინისტრი, ხოლო თამაზი დღემდე “ხალიფატის” კონტრდაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს ინარჩუნებს, ასევე აკონტროლებს ხალიფატის ციხეებს,

სავარაუდოდ, თამაზ ცათიაშვილი დგას იმ გახმაურებული აუდიოჩანაწერების უკან, რომლებიც “ხალიფატის” ე.წ. დედაქალაქში სპეციალურად პანკისის “ჯამაათისთვის” ჩაიწერა, აუდიო მიმართვები ერთგვარი ულტიმატუმია და მუქარის ხასიათს ატარებს, პირველი აუდიო მიმართვის ავტორი გურამ გუმაშვილი იგივე “ ადამი” უნდა იყოს, რომელიც “ ისლამური სახელმწიფოს” ე,წ იუსტიციის მინიტრია. თავის მიმართვაში ის ხეობის ჯამაათს ბრალს სდებს რა უმოქმედობასა და „მურთადებთან“ თანამშრომლობაში, სთხოვს, რამადანის დაწყებამდე ჯამაათმა ბაიათი(ფიცი) მისცეს ხალიფას და ზოგადად სწორ გზაზე დადგნენ. მიმართვის ბოლოს მეტი დამაჯერებლობისთვის აღნიშნავს,

რომ: “ ამას მხოლოდ ადამი არ

ლაპარაკობს”, რაც ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ “ ადამი” უფრო ავტორიტეტული ადამიანის პოზიციას აჟღერებს, ასეთი კი მხოლოდ თარხანი ან მისი ძმა თამაზი უნდა იყვნენ. დაახლოებით სამი კვირის წინ გაკეთდა კიდევ ერთი აუდიო ჩანაწერი, რომელიც ისევე როგორც პირველი მუქარის ხასიათს ატარებს. მისი ავტორი სავარაუდოდ რუსლან ტოხოსაშვილი იგივე” ჰამზაა”ტოხოსაშვილი თავის დროზე თარხან ბათრაშვილის დაცვის და მისი უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. ამჟამად ის სამხედრო დაჯგუფებას ხელმძღვანელობს.

საველე მეთაური საკუთარ ნათესავებსაც მოუწოდებს “ ჯიჰადში” მონაწილეობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰპირდება რომ ისინი მტრები გახდებიან.

პანკისის ხეობაში დღეს არავის სურს სირიაში საომრად წასვლა, “ ისლამური სახელმწიფო” რომელიც ყოველდღიურად ტერიტორიების გარდა მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსსაც კარგავს. “ ხუთვარსკვლავიანი ჯიჰადი” წარსულს ჩაბარდა. ასევე უკვე აღარ არის საქართველოში ჯარისკაცობაზე მეოცნებე” ჟღალი გენერალი” რომელიც სულ ორიოდე წელში “ ხალიფატის” თავდაცვის მინისტრი გახდა, ამბობენ, რომ მისი შემცვლელი აუცილებლად გამოჩნდება და ეს სავარაუდოდ, აბდურახმან ალ შიშანი იქნება. მისი ფოტო ქართულ მედიაში პირველად ქვეყნდება.

ხსოვნა

რეზო ზურაშვილი



უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ამ ქვეყნიდან ჩუმად და უთქმელად წახვედი. ერთი დღეც კი არ გიავადმყოფია, არ შეგიწუხებივართ, ჩუმად და მოულოდნელად დაასრულე შენი სიცოცხლე. ძალიან ადრე წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და სევდა. გული ვერ მოიოხე შენი შვილიშვილებისა და შვილთაშვილის სიყვარულით.

უზომოდ კეთილი, უწყინარი, მშრომელი და მოსიყვარულე მამა იყავი. ყველას მიმართ ერთგული და დაუზარელი. ამიტომაც გაგაცილა ყველამ დიდი სიყვარულით და პატივისცემით შენს უკანასკნელ გზაზე.

ძალიან გვენატრები, მაგრამ საუბედუროდ შენზე მხოლოდ ტკბილი მოგონებებილა დაგვრჩენია, ჩვენო წყნარო, მშრომელო და ჭკვიანო რეზო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ოჯახი.

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ დედოფლისწყაროს განყოფილება

2016 — 2017 სასწავლო წელს საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს განყოფილება ხვდება რეაბილიტირებული და აღდგენილი სასწავლო კლას-კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, შევსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რამაც გაზარდა მოზარდი თაობის დაინტერესება პროფესიული სწავლისადმი.

სასწავლებელში ამჟამად ფუნქციონირებს თექის ხელოსნის, ექთნის თანაშემწის, ელექტრიკოსის,ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტის, კალატოზისა და ტრაქტორისტ- მემანქანის სპეციალობების შემსწავლელი ჯგუფები, რომლებიც წარმატებით გადიან როგორც თეორიული ისე პრაქტიკულ სწავლებას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმული სასწავლებლის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალი სასწავლო წლიდან დაემატა ბუღალტერ - ტექნიკოსისა და სტილისტის სპეციალობები.

ამჟამად მიმდინარეობს აპლიკანტთა საშემოდგომო მიღება შემდეგ პროგრამებზე:

1 .თექის ხელოსანი / სწავლების ვადა 18 თვე/
2. ტრაქტორისტ - მემანქანე /სწავლების ვადა 6 თვე/
3. კალატოზი /სწავლების ვადა 6,5 თვე/
4. ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტი /სწავლების ვადა 9,5 თვე/
5. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი /სწავლების ვადა 19 თვე/
6. ბუღალტერ - ტექნიკოსი /სწავლების ვადა 17 თვე/
7. თმის სტილისტი /სწავლების ვადა 17 თვე/

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტოსურათი /ზომით 3X4/
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება /ადგილზე შევსებით /

საბუთების მიღება დ ა ი წ ყ ო!
ი ჩ ქ ა რ ე თ!

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:
ქ.დედოფლისწყარო,სოფ.სამრეკლო (სოფ.ჯაფარიძე)
ტელ: 597 19 22 32 599 41 91 17

ირაკლი შიოლაშვილი – სიღნაღი-დედოფლისწყაროს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა 5 აგვისტოს კახეთის რეგიონში პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ დაასახელა ირაკლი შიოლაშვილი. „ირაკლი ჩვენი გუნდის წევრია. ის პროფესიით იურისტია და გახლავთ კახეთის გუბერნატორი. ზედმიწევნით იცის კახეთის პრობლემები. ირაკლი დედოფლისწყაროდან არის, დარწმუნებული ვარ, ძალას არ დაიშურებს სიღნაღელების და დედოფლისწყაროელებისთვის და ყველაფერს გააკეთებს საქართველოს პარლამენტში მათი ინტერესების დასაცავად“,- აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

თელავისა და ყვარლის მაჟორიტარობის კანდიდატი “ქართული ოცნებიდან“ იქნება ირაკლი სესიაშვილი. „ბატონი ირაკლი პირველივე დღიდან ჩვენი გუნდის წევრია. პარლამენტში ხელმძღვანელობს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს. უწესიერესი კაცია. ასე რომ, თელაველებს და ყვარლელებს გეყოლებათ ძალიან გამოცდილი და საამაყო წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში“, - განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ ახმეტაშიც გამორჩეული კანდიდატი ეყოლება. „ეს გახლავთ გელა სამხარაული. გელა უკვე გამოცდილი პარლამენტარია. წესიერი, პატრიოტი კაცია, რომელსაც უზომოდ უყვარს ჩვენი სამშობლო. დარწმუნებული ვარ, ახმეტელები მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას და ღირსეული წამომადგენელი გეყოლებათ საქართველოს პარლამენტში“, - განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იქნება გურამ მაჭარაშვილი. „ბატონი გურამი პროფესიით იურისტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი-წევრია, გახლავთ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი შიდა ქართლის რეგიონში. მას ასევე, საბანკო სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ლაგოდეხელებს ღირსეული წარმომადგენელი გეყოლებათ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. წარმატებები ბატონ გურამს“, - განაცხადა პრემიერ მინისტრმა.

გურჯაანში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა დავით სონღულაშვილი. „ბატონი დავითი პროფესიით ეკონომისტია. განათლება აქვს მიღებული მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში და ამასთან, გრენობლის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრია. მუშაობდა წამყვან პოზიციებზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დავითი წარმატებული ახალგაზრდაა და გურჯაანელებო, სწორედ ის გააგონებს მთელს საქართველოს თქვენს ხმას საქართველოს პარლამენტიდან“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

საგარეჯოში „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება რომან მუჩიაშვილი. „ბატონი რომანი ფინანსისტია, საკუთარი პროფესიით მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილებით. საგარეჯო და საგარეჯოელები დიდი გულშემატკივრით იამაყებენ მომავალი 4 წლის განმავლობაში. ბატონ რომანს აქვს ასევე მდიდარი გამოციდლება კერძო სექტორში და ის აუცილებლად გამოიყენებს ამ გამოცდილებას თითოეული საგარეჯოელის ინტერესების დასაცავად საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, საქართველოს პარლამენტში ”, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ულოცავენ!

თამაზ და ნინო ბენაშვილებს!

ჩვენო საფიცარო, გილოცავთ შვილების რამაზის და მაკას ბედნიერებას. ღმერთმა გაგამრავლოთ.

თქვენი მამიდა მარინე გონაშვილი; **მამიდაშვილები:** ლალი და დალი გონაშვილები.

რამაზ ბენაშვილს და მაკა ბეიტრიშვილს!

გილოცავთ ქორწინებას. გამრავლდით და გაიხარეთ.

მარინე პაპიდა.

ლაშიკო თავაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო სიცოცხლევ. 15 წლის წინ, 10 აგვისტოს, როდესაც შენ დაიბადე უსაზღვროდ გავიხარეთ. შენ იყავი პირველი შვილიშვილი, ჩვენი სიყვარული და სიხარული, ჩვენი ვარსკვლავთ-ბიჭუნა. მაშინ ვოცნებობდით, რომ გაიზრდებოდი ჯანმრთელი, ყველაზე ნიჭიერი და ზრდილობიანი შენი დედიკოსი და დეიდების მსგავსად, ახლა უკვე 15 წლის ჩვენი მზე-ჭაბუკი ხარ და ის ოცნებებიც აგვიხდა. იყავი უბედნიერესი ბიჭი, გვიყვარხარ ყველას ძალიან, ჩვენო ძვირფასო.

ბებო თამარი, პაპა ელგუჯა ცოგოშვილები.

გია (კორნაპე) ალუღიშვილს!

ჩვენო ძვირფასო, დღეს ჩვენ ამაყები ვართ, რადგან შენმა სათაყვანებელმა დედოფლისწყაროს საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასა და დააფასა შენი ღვაწლი, როგორც მხატვრის და შემოქმედის და როგორც მეცენატის, რადგან შენი ხელით დამზადებული და წრფელი გულით მიძღვნილი არაერთი ნივთი ამშვენებს ჩვენს ეკლესიებს. სწორედ ამიტომ მოგენიჭა „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება, რაც კიდევ უფრო მეტს გავალებს. გვჯერა, იმედს არ გაუცრუებ შენს გულშემატკივრებს და თაყვანისმცემლებს. იყავ ბედნიერი, ჯანმრთელი და გაიხარე შენს ცოლ-შვილთან, შვილიშვილებთან, ახლობლებთან და მრავალრიცხოვან სამეგობროსთან ერთად.

სიყვარულით,
მშობლები: ჯიმი ალუღიშვილი და ლალი პოჭორიშვილი, **და** ლია, **სიძე** გელა ხუციშვილი ოჯახით.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 08.08	სამშაბათი 09.08	ოთხშაბათი 10.08	ხუთშაბათი 11.08	პარასკევი 12.08	შაბათი 13.08	კვირა 14.08
დღე	27 °	27 °	27 °	28 °	28 °	29 °	29 °
ღამე	26 °	26 °	26 °	27 °	27 °	28 °	28 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.